137/3N4223

სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 140

დამატების № 25

კვირა, 16 ნოემბერი 1914 წ.



პორ. თავ. არჩილ ბაგრატი-ონ-დავითიშვილი. (დაჭრი-ლია).

კაპიტანი გიორგი თავაძე (დაჭრილია).

განწყვეტილი სიმი

დრამა ოთხ მოქმედებ:დ.

(დასასრული *)

მოქმედება მეოთხე.

ისევ ვახტანგის სამუშაო ოთახია. წიგნები მაგიდაზე აწეწილ-დაწეწილი ჰყრია. საზოგადოდ ოთახი დალაგებული არ არის. **ვახტანგი**, მკლავებზე თავ-დაყრდნობილი, ღრმად ჩაფიქრებული, მაგიდასთანა ზის და გადაშლილ რვეულს ჩასცქერის.

სასტუმრო ოთახიდან ვიოლინის ხმა ისმის, **ნუცა** უკრავს.

ცოტა ხნის შემდეგ ხმა მისწყდება. **ვახტანგი** წამოდგება და აღელვებული ოთახში დაიწყებს სიარულს.

ვახტანგი. (დედას დაუძახებს) დედა! დედა! (პასუხს არავინ აძლევს) დედა-მეთქი! დედა! (ფეხებს დააბრახუნებს) დედა, დედა! სად ჯანდაბაში დაიკარგეთ!

(შემოდის შეშინებული მარინე).

მარინე. რა იყო, შვილო, რად მეძახოდი?

ვახტანგი. სად დაიკარგეთ? რას მემალებით? ნუ გეშინიანთ! შეშლილი არა ვარ. არაფერს დაგიშავებთ.

მარინე. რად უნდა გვეშინოდეს, შვილო! ცოტა ხნით სამზვარეულოში გავედი და შენი ხმა ვერ გავიგონე. რა გინდოდა?

ვახტანგი. მამა სად არის? მამა სად არის-მეთქი!..

მარინე. მამა მინდორშია, მუშები ჰყავს.

ვახტანგი. ძიძა სადღაა?

მარინე. ძიძა სამზვარეულოშია.

ვახტანგი. რასაკვირველია! ყველას ეხლა გაგიჩნდათ საქმე! მთელი საათია ჩემს ოთახში ვარ გამომწყვდეული და ერთხელ არავინ შემოიხედა, თითქოს აქ ადამიანი კი არა, მძოვრი ეგდოს...

მარინე. შვილო!..

ვახტანგი. (სიტყვას გააწყვეტინებს) რა იყო? შეგეშინდა? ხა, ხა, ხა! ნუ გეშინიან, ყველანი მძოვრები გავხდებით. საშიში არაფერია. ბუნება თავის დანიშნულებას მაინც შეასრულებს. ჩვენ, სიკვდილის შვილთ, განა შეგვიძლიან ბუნების ბრძნული გარდაწყვეტილება შევცვალოთ? ტუტუც ადამიანს ჰსურს ღმერთად იქცეს და სიკვდილი მოსპოს! გეცინება, განა, დედა! ყველაზე ძალიან მაშინ გაიცინებ, როდესაც სიკვდილი დამკრუჩხავს, სახეს შემიშლის, როდესაც სასაცილოდ გავიშოტები და დღესასწაულს გავუმართავ მატლებსა და ჭია-ღუას.

მარინე. ვინ ჩაგიდო თავში ეგ სულელური აზრი? ვინ იყო ის ჩემი ცოდვით სავსე ადამიანი? ვისაც მეტი გაეგება, ის სულ სხვას ამბობს. ექიმმა...

ვახტანგი. (სიტყვას გააწყვეტინებს) შენი ექიმი სულელია!

მარინე. ეგეც ახალი გაგონებაა. შენ არ იყავი, იმის ქებით აღარ იცოდი რა გექნა?

ვახტანგი. სულელია-მეთქი, სულელი! ექიმი ჩემი მტერია! ჩემი ბედნიერება შეჰშურდა და ჯადოსნური ქსელი გამიბა. არა გჯერა? აბა ნუცასა ჰკითხე? ნუცამ ყველაფერი კარგად იცის.

მარინე. ნუცა ჯერ ბავშვია, იმას არაფერი გაეგება და არც დაუწყებ ამაზე ლაპარაკს.

ვახტანგი. ნუცა ბავშვია, მაგრამ ბევრს ჭკვიანზე უფრო კარგადა ჰგრძნობს. თუ ადამიანს გრძნობა არა ჰლალატობს, ველარაფერი მოატყუებს. ის კი, ვინც მარტო ფიქრობს და გრძნობა კი დახშული აქვს, საცოდავი არსებაა. გონება ვარსკვლავების მოძრაობაში ეძებს აზრს და ცხვირ წინ კი რა ჰხდება, ვერა ჰხედავს. ვარსკვლავების თვლაში მას მიწა ეცლება ფეხიდან და უფსკრულში ვარდება. ნუცა არასოდეს უფსკრულში არ გადაიჩეხება. ის უცნაური გრძნობის ადამიანია. ექიმი კი სულელია, ექიმი ჩემი მტერია.

მარინე. (მოთმინებიდან გამოსული. აღელვებით) მე კი ვიცი, ვინც არის შენი უსაშინელესი მტერი.

ვახტანგი. (თვალებში ჩააშტერდება) ვინ?

მარინე. ელენე!

ვახტანგი. დედა!

(პაუზა).

მარინე დიახ, ელენეა! იმან აგიფორიაქა სული და გული, იმან მოგიშხამა სიცოცხლე. სანამ იმას შეჰხვდებოდი, შენც დამშვიდებული იყავი და ექიმიც კარგი იყო. მოვიდა წყეული, მოგაჯადოვა და შენც დაჰკარგე სიმშვიდე.

ვახტანგი. შენც ეგრე ფიქრობ, დედა? (ხელს წაავლებს და სკამზე დასვამს. ჩურჩულით). მაშ, გეტყვი, საიდუმლოდ გეტყვი, რასაცა ვგრძნობ. ეცადე კი, ნუცამ არ გაიგოს.

მარინე. ნუცამ?

ვახტანგი. ჰო, ნუცამ. ყველაზე მეტად ნუცასი მეშინიან. ბავშვი ყოველთვის სასტიკია, დანდობა არ იცის. უყვარხარ, მაგრამ მაინც არ დაგინდობს. ნუცასი მეშინიან. თუ გაიგო, არც ის დამინდობს. აბა გაიხედე, ხომ არ მოდის.

მარინე არავინ არის, ვინ უნდა მოვიდეს?

ვახტანგი გაიხედე, გაიხედე-მეთქი! (მოუთმენლად) გაიხედე, ნუცა ხომ არ მოდის მეთქი! ჩქარა!

*) იხ. სურათებიანი დამატება № 24.

პოდ. თავ. გრიგოლ ავალი-შვილი (დაჭრილია).

პოდ. ს. სტანიშევსკი. (დაჭრილია).

პოდ. მოსე გობრონიძე (დაჭრილია).

პოდესაული თავ. ნიკოლოზ ამილახვარი (მოკლულია).

მარინე. (გაკვირვებული ვახტანგს შეხედავს, კარებს გამოაღებს და გაიხედავს) არავინ არის, დამშვიდდი!

ვახტანგი. მოდი აქა, მოდი ჩემთან. (მარინე მიუახლოვდება). ვინ გითხრა, რომ ყველაფერი ელენეს ბრალია? ნუცამ ხომ არ გითხრა?

მარინე. არა! მე თითონ ვხედავ, განა ძნელია მაგის გამოცნობა? სანამ ელენეს შეხვდებოდი, დამშვიდებული იყავი. მეც მაგას ვამბობ, მამაშენიც. ექიმიც...

ვახტანგი. (აღელვებული) ექიმს თავი დაანებე, ის სულელია.

მარინე. არა, შვილო, სულელი არ არის, იმას სიკეთე უნდა შენთვის.

ვახტანგი. რასაკვირველია! მოვა და გულს გამიწყალებს, საგარაკოდ წადიო. დაუჭერია ხელში რაღაც ჩაქუჩი და ჰგონია, რომ შეუძლიან გაიგოს აი აქ, ამ გულში, რა ჰხდება. დედა! ექიმი სულელია! ვის შეუძლიან გაიგოს, ჩემს გულში რა ჰხდება... (უცბად შეჰკრთება) ნუცა ხომ არ მოდის?

მარინე. არა, შვილო, არა! ეგრე ძალიან რამ დაგაშინა?

ვახტანგი. შენ ამბობ, ყველაფერი ელენეს ბრალიაო. არ შეიძლება როგორმე ელენე თავიდან მოვიშოროთ? მოვიშოროთ ისე, რომ ერთმანეთს აღარ შევხვდეთ.

მარინე. რატომ არ შეიძლება? დღესვე გამოვუცხადებ, ფეხი აღკვეთოს ჩვენს სახლში. დამერწმუნე, ამას რომ გაიგებს, სულაც წავა აქედან.

ვახტანგი. არა, დედა, ეგ ვერ გვიშველის. ცხრა-მთას იქითაც რომ გადაიკარგოს, იმისი სული მაინც აქ იტრიალებს. ჩვენ ხომ დიდხანს ვიყავით დაშორებული? მაინც მოდიოდა ჩემთან, მელაპარაკებოდა და თავისკენ მიზიდავდა.

მარინე. სად მოდიოდა? შენ უცხოეთში იყავი, ელენეს კი აქედან ფეხი არ მოუცვლია.

ვახტანგი. მაინც ჩემთან იყო, განუშორებლად ჩემთან იყო. ელენეს მოშორება ისევე ძნელია, როგორც მზისაგან შუქისა და სითბოს მოშორება. აბა, სცადე, აანთე სანთელი და მოაშორე შუქი. ხომ ვერ მოახერხებ? სანამ სანთელი სულ არ ჩაიწვის, ბოლომდის არ ჩაიფერფლება, შუქიც იქნება. მე სანთელი ვარ, შუქი—ელენეა. განგებამ ასე ინება. ელენე მხოლოდ მაშინ მომშორდება, როდესაც ჩემი სიცოცხლე ჩაიწვება და მეც ფერფლად ვიქცევი. ნუცას კი არ უთხრა, რასაც გეუბნები. ნუცა სხვანაირად ფიქრობს.

მარინე. თუ დედის რჩევას დაიჯერებ, შვილო, მალე განიკურნები შიშისაგან. მხოლოდ ნება მომეცი, ელენეს ვუთხრა შენის სახელით, რასაცა ვფიქრობ.

ვახტანგი. ამაოა, დედა! შენ მხოლოდ შეგიძლიან ელენე სახლიდან დაითხოვო. იქნება ჩვენი სოფლიდანაც განდევნო, მაგრამ მის სულს, რომელიც მთელს ჩემს არსებაშია ჩაქსოვილი, ვერაფერს უზამ. თუ შეგიძლიან, ერთმანეთს ისე განგვაშორე, რომ მე იმისთვის აღარ ვიყო საჭირო და ის ჩემთვის. დედა! თუ ამას იზამ, მეც კვლავ აღვსდგები მკვდრეთით, კვლავ ფასი დაედება სიცოცხლეს, კვლავ ამობრწყინდება მზე შენი შვილისთვის, მზე, რომელიც სამარადისო სხივით გააშუქებს მის გატანჯულ სახელს. დედა! ჩემო დედიკო! (მიესაყვარლება) რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები, რომ იცოდე, რა საშინელი ცეცხლი ტრიალებს ამ გულში, ცრემლად იქცეოდი და შენის წმინდა ცრემლით მოისურვებდი დაკოდილი გულის განკურნებას.

მარინე. (მოეხვევა) დამშვიდდი, შვილო, დაწყნარდი! შენ თითონ აგდებ შენს თავს სატანჯველში, თორემ საიმისო არაფერი გაქვს.

ვახტანგი. (მოეხვევა). თვალწინ მიდგას ჩემი ბავშვობა. მახსოვს, ძალიან კარგად მახსოვს, ასე მგონია გუშინდელი ამბავია მეთქი; მახსოვს, როგორ მომიჯდებოდი საწოლთან და უცნაურ, ლამაზ ზღაპრებს მეუბნებოდი, ხან ცხრა თავიან მდევებსა და ხან ნაცარქექიაზე. ბუხარი სასიამოვნოდ გუგუნებდა; სითბო და მყუდროება იყო მაშინ დასადგურებული ჩვენს სახლში. ჩემს გულშიაც მაშინ მყუდროება იყო. ეჭვიანი გონება ჯერ საბედისწერო საკითხებს არ მაგონებდა და მეც უდარდელად ვკისკისებდი. აგერ, დედა-ჩემი ლოგინთანა სწევს, შუბლზე ხელს მისვამს და ზღაპრებს მეუბნება. მე ნელ-ნელა თვალი მეხუჭება, ძილი მერევა. დედა დაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ ტკბილი მშობლიური ნანა მომესმა. (გამოერკვევა) დედა! რად გაჭრა ის მშვენიერი წუთები! რატომ ისევ ბავშვი არა ვარ. დედა!.. (უცბად ქვითინი აუტყდება და დედის მხრებზე დაეცემა).

მარინე. (ცრემლ-მორეული ხან შუბლზე ჰკოცნის, ხან თვალებში. თმას უსწორებს და ეალერსება) დამშვიდდი, შენ კი გენაცვალოს დედა, შვილო! დამშვიდდი!

ვახტანგი. (ცოტა დამშვიდებული) იცი, დედა, კიდევ რა მახსოვს კარგად? რომელიღაც სახლში ვსცხოვრობდით, ქალაქში. სადღაც მივდიოდით და სახლი აწეწილ-დაწეწილი იყო. მაგიდაზე სამოვარი იდგა. მე ხელში ვეჭირე მამას. როგორღაც სამოვარს მივსწვდი. ჩაინიკს წავავლე ხელი და ცხელი ჩაი მოვიყუდე. რასაკვირველია, პირი გამომეთუთქა და ღრიალი დავიწყე. ასტყდა ალიაქოთი...

მარინე. (ღიმილით). ეგ როგორ გეხსომება, შვილო, მაშინ ორი წლისა ძლივს იყავი.

ვახტანგი. (გამხიარულებული) როგორ არ მახსოვს, ძალიან კარგად მახსოვს. თუ გინდა, აგიწერ კიდეც, ოთახი რანაირი იყო. შუა ადგილას მაგიდა იდგა, მაგიდაზე ბევრი თხილი ეყარა. სოფლიდან ჩამოეტანა ძიძასა. ოთახიდან რომ გამოვიდოდით, აი აქეთ, ასე, საფეხურიანი კიბე იყო. დიდი ეზო გვქონდა. ის ეზოც მახსოვს. ახლო სკოლა იყო, იქიდან ბავშვები მოდიოდნენ და იმათთან ბურთსა ვსთამაშობდი. მართალს არ ვამბობ?

მარინე. ალბათ მერე გიამბო ვინმემ, შვილო, და ის დაგახსომდა, თორემ როგორ შეიძლება ორი წლის ბავშვს დაახსომდეს რამე?

ვახტანგი. ღმერთმანი მახსოვს, დედა! არც არავის უამბნია. ისე კარგად მახსოვს, თითქოს გუშინ მოჰხდა მეთქი. ისევ თვალ-წინ მიდგას სამოვარიც, მაგიდაც, ასე მგონია პირიც ისევ მეწვის მეთქი! ღმერთმანი.

(ისმის ზარის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ ძიძა შემოდის).

მარინე. ვინ მოვიდა?

ძიძა. ექიმი გახლავთ, ვახტანგის ნახვა ჰსურს.

ვახტანგი. (დედას) სთხოვე.

(მარინე და ძიძა გადიან. ცოტა ხნის შემდეგ ექიმი შემოდის. ვახტანგს ერთბაშად სახე ისევ მოეღრუბლება და მაგიდასთან დაღვრემილი დაჯდება.)

ექიმი. (ხელს ჩამოართმევს) სხვა, როგორა ბრძანდებით, ბატონო ვახტანგ? ამ ბოლო დროს თითქოს უკეთესად გამოიყურებით.

ვახტანგი. გმადლობთ, არა მიშავს რა. ღვთისა და თქვენი წამლების დახმარებით იქნება როგორმე განვიკურნო და ჩემს სიცოცხლეს კიდევ რამდენიმე წუთი მიუმატო.

ექიმი. (ვითომ ვახტანგი) ირონია არ ესმის) რატომ, რატომ? მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, მალე სრულიად განიკურნებით და

ივ. კობალაძე (მოხალისე, დაჭრილია).

„სახალხო ფურცელის“ ასოთამწყობი გიორგი ჟვიძე ჯარის-კაცი. (დაჭრილია).

გერმანელების მიერ გაკეთებული ფარული ორმოები მავთულის ხლართების უკან.

კვლავ განაგრძნობთ უდროოდ შეწყვეტილი შრომის წერას.

ვახტანგი. (აღელვება შეემჩნევა). ჩემს შრომას აღარ დაუბრუნდები, ბატონო ექიმო. დავრწმუნდი, რომ იგი არავისთვის არ არის საჭირო.

ექიმი. აი ეგ კი მწყინს! თქვენ ჰქმნით, დაფასება სხვას მიანდეთ. მართალია, იქნება ძალიან პატარა კაციც ვიყო, იქნება ზოგიერთ შემთხვევაში ჩემი შეურაცყოფაც კი ადვილი საქმე იყოს, მაგრამ გარწმუნებთ, იმდენი მაინც გამეგება, ნიჭიერი ადამიანის შემოქმედება დავაფასო და მეგობრობა გაუწიო მაშინ, როდესაც მეგობრობის გაწევა ჩემი სინიდისი მავალებს. თქვენს მტრულს განწყობილებას, ბატონო ვახტანგ, არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ, რადგანაც მჯერა—იგი შედეგია არა იმდენად ავადმყოფობისა, რამდენადაც იმ სულიერი დრამისა, რომელსაც თქვენ განიცდით.

ვახტანგი. თანაგრძნობისთვის მადლობას მოგახსენებთ. რაიცა შეეხება ჩემს შრომას, იგი აღარავისთვის არ არის საჭირო. მე მგონია ამას თქვენც კარგად ჰგრძობთ, მაგრამ უბრალო კაცთმოყვარეობა გაიძულებთ დამაჯეროთ, თითქოს ჩემი შრომა ვისმესთვის გამოსადეგი იყოს. არ შემიძლიან ღრმა მოწიწებით არ მოვიდრიკო მუხლი მაგ კაცთმოყვარეობის წინაშე, მაგრამ ამასთანავე ერთად არც ის შემიძლიან, თქვენი სიტყვები მშრალ ჭეშმარიტებად მივიღო და კვლავ მოვიტყუო თავი იმით, თითქოს ჩემი შრომის დაწერით სამარადისო საქმეს ვაკეთებდე.

ექიმი. ნება მიბოძეთ, ბატონო ვახტანგ, ცოტა გულ-ახდილად გელაპარაკოთ.

ვახტანგი. გთხოვთ.

ექიმი. რად აპპობთ იმას, რაც თქვენ თითონაც არა გჯერათ? ხომ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი შრომა იშვიათი მოვლენაა? რად გინდათ,—პირდაპირ გეტყვით, დაურიდებლად,—რად გინდათ სამარეში ჩაიტანოთ ის ღრმა აზრები, რომლებიც მარგალიტებივით არის გაფანტული თქვენს შრომაში?

ვახტანგი. (თანდათან სახე გაუბრწყინდება) ბატონო ექიმო!..

ექიმი. (სიტყვას გააწყვეტინებს). უფრო მეტსაც გეტყვით. თქვენ არავითარი ზნეობრივი უფლება არა გაქვთ, ჩაჭკლათ, ჩაახშოთ ბუნებით მონიჭებული უნარი შემოქმედებისა და შთამომავლობასაც დაუკარგოთ ნაყოფი ამ შემოქმედებისა. თქვენ მარტო თქვენს თავს არ ეკუთვნით. პირადი ბედნიერება, იქნება სიცოცხლეც არაფერია შედარებით იმ მოვალეობასთან, რომელიც განგებას თქვენთვის დაუდვია. ვალდებული ხართ თქვენი ტვირთი ბოლომდის ზიდოთ, შრომა დაამთავროთ და ახალი ჰორიზონტი გადაუშალოთ შთამომავლობას, რომელიც ღრმა მოწიწებით მოაგონებს თქვენს სახელს და პატივისცემით მოიდრეკს მუხლს იმის წინაშე, ვინც მთელი თავისი არსება კაცობრიობის ბედნიერების სამსხვერპლოს შესწირა. მე კი... მე, თუ გნებავთ, კვლავ დამცინეთ და შეურაცმყავით.

ვახტანგი. არა, ბატონო ექიმო, თქვენი შეურაცყოფა აზრადაც არ მომსვლია. ვგრძნობ, რომ თქვენ კეთილი ვსურთ ჩემთვის. უფრო მეტსაც გეტყვით: თქვენ ერთად ერთი ადამიანი ხართ, რომელმაც ჩემი გულის ნადები გაიგეთ და გაჭირვების დროს დამეხმარეთ. დადგება ხოლმე წუთი, როდესაც გულის მღრღნელი ეჭვი დამებადება და მოსვენებას არ მაძლევს. აი სწორედ ასეთს წუთებში მესმის ყოველთვის თქვენი გამამხნევებელი სიტყვა. ნუ თუ გგონიათ, რომ მე ასეთი ადამიანის შეურაცხყოფა შემიძლიან? არა, ბატ ნო, თქვენა სცდებით.

ექიმი. ძალიან მოხარული ვარ, თუ ეგ აგრე ყოფილა. რახან ჩემს რჩევას თქვენთვის მნიშვნელობა ჰქონია, ბარემ ბოლომდის მიიღეთ ჩემი რჩევა. მოიქეცით ისე, როგორც დაგარიგეთ. კიდევ გაგიმეორებთ, კარგი იქნება, დროებით აქედან წახვიდეთ. როგორც ვატყობ, აქ ისე ვერა მუშაობთ, როგორც საჭიროა.

ვახტანგი. მართალია, აქ... ისე ვერა ვმუშაობ, როგორც საჭიროა. თითქოს ყველაფრით ხელს მიწყობენ, მაგრამ მაინც რაღაცა მიშლის. აზრები კარგად ვერ მომიკრეფია. ეხლა მეც მგონია, უკეთესი იქნება დროებით მაინც აქედან წავიდე. (ხელთ-ნაწერს გადაფურცლავს) წარმოიდგინეთ, ეს ორი კვირა იქნება ჩემი შრომისთვის ხელი არ მომიკიდია. აზრები დამილაგდება ხოლმე თავში, ჩამოყალიბდება; მაგრამ საკმარისია მაგიდასთან დავჯდე და ხელში კალამი ავიღო, რომ მყისვე დამეფანტოს. აქ როგორღაც კარგად ვერ მოვეწყე, რაღაცა მიშლის. სხვაგან რომ წავიდე იქ უსათუოდ კარგად ვიმუშავებ. დარწმუნებული ვარ, სხვაგან კარგად ვიმუშავებ, აქ კი კარგად ვერ მოვეწყე. რაღაცა მიშლის.

ექიმი. მეც ეგრე მგონია. ამოირჩიეთ სადმე მყუდრო ბინა, მოეწყეთ ისე, რომ საზრუნავი აღარაფერი გქონდეთ და მთლად თქვენს შრომას შესწირეთ თქვენი თავი. მშობლებიც წინააღმდეგობას არ გაგიწევენ. დარწმუნდებიან თუ არა, რომ ეს სასარგებლოა არა მარტო თქვენი შრომისთვის, არამედ ჯანმრთელობისთვისაც, სიხარულით დასთმობენ და შვილის განშორებას შეურგიდებიან—ამას მე ჩემს თავზე ვკისრულობ. ეხლავე რომ შეუდგეთ საქმეს, ერთი-ორი ორი კვირის შემდეგ შეგეძლებათ წასვლა.

ვახტანგი. ორი კვირის შემდეგ? ეგრე გვიან რათა, ბატონო ექიმო? არ შეიძლება უფრო ადრე წავიდე? მალე წავალ, ეხლავე! რაღა საჭიროა ცდა? ცოტა ხანი კიდევ რომ დავრჩე, დარწმუნებული ვარ სამუდამოდ დავიღუპები. აქ ნელ-ნელა ვსდნები, ვილევი. იქ კი უსათუოდ კარგად გავხდები და მუშაობასაც შევძლებ. (მუდარებით) როგორმე ითავახერხოთ, ბატონო ექიმო, და მალე გავემგზავროთ.

ექიმი. ორ-სამ დღეზე ადრე მაინც არ ივარგებს.

ვახტანგი. რატომ არ ივარგებს, რატომ? აქ დარჩენა აღარ შეიძლიან.

ექიმი. სიცხე გაქვთ, უნდა ცოტა გამოკეთდეთ. საშიში მაინცა და მაინც დიდი არაფერია, მაგრამ მგზავრობა გაწყენთ. მე რომ წამლები გამოგიწერეთ, ის დალიეთ, ცოტა მომაგრდით. ყუათზე მოდით და ძერე, საცა გინდოდეთ იქ წადით.

ვახტანგი. (მოუთმენლად) შეუძლებელია, შეუძლებელია! აქ რომ დავრჩე, დავიღუპები, სამუდამოდ დავიღუპები. თქვენთვის ადვილია კვირაობით თვლა. ჩემთვის კი ყოველივე წუთი დაუფასებელია. თუ აქედან არ წავედი, ვეღარაფერს მოვასწრობ. დავიღუპები და ჩემთან ერთად დაიღუპება ჩემი შრომაც, დაუმთავრებელი შრომა.

ექიმი. თუ ეგრე ძალიან ამიხირდებით, იყოს ნება თქვენი. სჯობდა კი, ცოტა ხანს მოგეცადათ...

ვახტანგი. არა, არა სჯობდა! მე უფრო კარგად ვიცი ჩემი ავადმყოფობა. აქ ერთავად სიცხე მაქვს, იქ კი ერთბაშად გამოვბრუნდები. ჩვენი სოფელი ციებიანია და ეხლა ციებაც დამაწყებინა. ჰაერს რომ გამოვიცვლი, ერთბაშად გამოვბრუნდები. ჩემი ავადმყოფების საქმე მე უფრო კარგად ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შემოდის მარინე, დალვრემილია).

მარინე. ელენე მოვიდა, შენი ნახვა ჰსურს.

ექიმი. (უკმაყოფილოდ) ელენე!

ვახტანგი (შეკრთება. თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო). აკი გითხარით, ბატონო ექიმო, მალე უნდა წავიდე-მეთქი.

მარინე. (ენერგიულად) ვეტყვი, რომ იმისი მიღება არ შეგიძლიან არც ეხლა და არც შემდეგში.

(პაუზა).

ექიმი. მეც გირჩევთ.

(პაუზა).

ვახტანგი. სთხოვე, მოვიდეს.

მარინე. შვილო!..

ვახტანგი. (ბრაზ-მორეული) სთხოვე-მეთქი... ეხლა გვიანღაა.

ექიმი. (მარინეს) მარტო დავსტოვოთ. მე მგონია, ვახტანგს თითონაც მოეძებნება საკმაო ძალა წინააღმდეგობისთვის. (თვალითვალს გაუყრის ვახტანგს) არ დაგავიწყდეთ თქვენი წმინდა მოწოდება, განსაცდელში არ ჩააგდოთ იგი. (მარინეს) წავიდეთ.

(მარინე და ექიმი გადიან. ცოტა ხნის შემდეგ ელენე შემოდის. ეტყობა აღელვებულია).

ელენე. გელოდი. არ მოხვედი. სჩანს, საჭირო აღარა ვყოფილვარ. არც ეხლა დაგირღვევდი მყუდროებას, წასვლას რომ არ ვაპირებდე.

ვახტანგი. განა მიდიხარ კიდეც?

ელენე. დიახ, მივდივარ და სწორედ იმიტომაც გავბედე მოსვლა. მოვედი, გამოგეთხოვო, გამოგეთხოვო სამუდამოდ. იმედია ამ უკანასკნელ სურვილს დანაშაულობად არ ჩამითვლი. იქნება უკეთესიც ყოფილიყო, წასვლისას არ მენახე. რა საჭიროა ნახვა ადამიანისა, რომლის გულშიაც შენი სახე სამუდამოდ აღმოფხვრილა! მაგრამ მე ქალი ვარ და ქალურმა სისუსტემ სძლია გონება.

ვახტანგი. ელენე! მაგ კილოთი რად მელაპარაკები! შენ ხომ ძალიან კარგად იცი, მე დალუპული ადამიანი ვარ. სხვა შეიძლება ამას ვერა ჰხედავდეს, მაგრამ შენ ჰხედავ. ჰხედავ და მაინც უმოწყალო ხარ, დაუნდობლად მიკოდავ გულს, რომელიც ლამის არის ორად გაიპოს.

ელენე. მაპატიე. მაგრამ სხვანაირად შენთან ლაპარაკი აღარ შემიძლიან. ყველაფერი დამელუპა. მთელი იმედი, მთელი ჩემი ნუგეში შენ იყავი (ნაზის გრძნობით) შენთვის ვსცხოვრობდი, შენით ვსუნთქავდი. ვეალერსებოდი შენს სახეს, როგორც წმინდათა-წმინდას. მწამდა, იყო ქვეყანაზე ბედნიერება და ამ ბედნიერებას შენში ვხედავდი. მაგრამ აი, დადგა ჟამი და გაჰქრა ყოველივე. აღარ არსებობს ჩემთვის აღარც სიცოცხლე, აღარც ბედნიერება.

ვახტანგი. ელენე!..

ელენე. მაპატიე, მაპატიე, რომ ველარ შევძელ და უკანასკნელად ერთხელ კიდევ მოვინდომე შენი ნახვა. ერთხელ კიდევ მინდოდა დამენახა ის, ვინც ასე ძალიან მიყვარდა, ერთხელ კიდევ მინდოდა შემეხედნა იმ თვალებისთვის, რომლებმა აანთეს ჩაუქრობელი ცეცხლი სიყვარულისა ჩემს გულში. შენ სულ-გრძელი ხარ, ვახტანგ, და მაპატიებ.

(პაუზა. ელენეს ცრემლი მოადგება თვალებზე და ჩუმად მოიწმენდს).

ვახტანგი. (აღელვებული. გრძნობით). ელენე, ჩემო ელენე, ამას რას ვხედავ? ნუ თუ სტირი?

ელენე. შენს ფეხრთა ქვეშ ვარ, უმწეო და უნუგეშო!

ვახტანგი. (გრძნობით წინ წაიწევს) ელენე!

ელენე. მოდი ჩემთან, მოდი ახლო! მომეცი შენი ხელი.

ვახტანგი. (მიუახლოვდება და ხელს გაუწოდებს).

ელენე. (გრძნობით კოცნას დაუწყებს) პირველად და უკანასკნელად!

ვახტანგი. (გრძობით) არა, ელენე, უკანასკნელად არა! შორს ჩემგან ყოყმანი და ჯადოსნური ქსელი. მე მუდამ შენი ვიყავი და შენი ვიქნები სიკვდილამდის. დაე, გაჰქრეს ყოველივე, დაე სამარადისო არ ყოფნამ მოიცვას ჩემი სახელი, ოღონდ კი შენთან ვიყო და განვიცადო ღვთაებრივი ცეცხლი სიყვარულისა! ამიერიდან შენთან ვიქნები, შენთან ვიქნები იმ დრომდე, სანამ დაშლილ სხეულს სულის ტარება შეუძლიან!

ელენე. (აღფრთოვანებული). ოჰ, განგებავ, ბრძნულია შენი გარდაუწყვეტელება. ვერავითარ ძალს ვერ შეუძლიან ჩააქროს ცეცხლი სიყვარულისა! (ვახტანგს) შემომხედე, შემომხედე! (ორივე ხელს დაუჭერს და თვალებში ჩააშტერდება) როგორ ერთბაშად გამოიცვალე. კვლავ აფეთქა სიცოცხლემ შენს თვალებში, კვლავ ამოძრავდა სისხლი და კვლავ შუქ-მფენი სხივი გადაევლო შენს სახეს, ლამაზს სახეს. (მიუახლოვდება და გრძნობით თვალებში აკოცებს).

ვახტანგი. შენ დამიხსენი განსაცდელისაგან, შენ დამიბრუნე სიცოცხლე და ბედნიერება. (ჰკოცნის).

ელენე. მაკოცე, მაკოცე! მომხვიე ხელი.

ვახტანგი. (მოეხვევა. გრძნობით). არაფერი არ შეედრება შენს თვალებს, რომლებიც დაუშრეტელ გრძნობას ჰხატავენ, შეუდარებელია შენი ტუჩები, რომლებშიაც მთელი მსოფლიოს ცეცხლი მოგროვილა, თავბრუდამსხმელია შენი ქალწულის გულმკერდი, რომელიც აფორიაქებულ გრძნობას ველარ იტევს და ჰფეთქავს, ჰფეთქავს უზომო ჟინით.

ელენე. დამიკოცნე თვალები,—ისინი უცნაურ, ჯადოსნურ ზღაპარს გეტყვიან; დამიკოცნე ტუჩები—ისინი ნაკვერჩხალივით დაგწვავენ და ნეტარებას გაგრძნობინებენ; მკერდით მოეკარ ჩემს გულმკერდს—მათ შორის საოცნებო სიმი გაიბმება და ერთის გრძნობით დაიწყებს ფეთქვას ორთავეს გული.

ვახტანგი. აღარ ექნება დასასრული ნეტარების წუთს!

ელენე. განა შეიძლება ჰქონდეს დასასრულ სიყვარულს? (გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან).

(პაუზა).

ვახტანგი. რა უცნაურია შედუღება მოსიყვარულე გულთა!

ელენე. წავიდეთ აქედან! წავიდეთ იქ, ძველთა-ძველ კოშკის ნანგრევებთან, საიდანაც იშლება მშვენიერი სურათი ხეობისა. კოშკი იგი ცად არის აღმართული. მედიდურად და ამაყად გადასცქერის ბარს, ველს, მთელს ხეობას, მდინარეს, რომელიც გველივით მიიკლაკნება და მისი ზვირთებიც ვერცხლის ფრად ბრწყინავს. აქ სული მეხუთება! საშინლად დაგვწოლია გულზე ჭერი, კედლები, მთელი ეს მოწყობილება ოთახისა. აქ ჰაერიც კი სიკვდილით არის გაჟღენთილი. წავიდეთ იქ, ძველთა-ძველ კოშკის ნანგრევებთან.

ვახტანგი წავიდეთ! დაე ცამ დააგვირგვინოს ჩვენი წმინდა სიყვარული.

(გარბიან).

(დიდი პაუზა. ისმის ნუცას ვიოლინის ხმა. თავდაპირველად წყნარად და ნაზად უკრავს. თანდათან კი სასიამოვნო ხმები რაღაც შემკრთალი და შფოთიანი ჰხდება. ცოტა ხნის შემდეგ ნაზი ხმები სრულიად იკარგება. მათ ნაცვლად გიჟური ისმის. ერთბაშად რაღაც ბზრიალი გაისმის ვიოლინის ხმაც შესწყდება. ოთახში შეშინებული, მთლად გადაფითრებული **ნუცა** შემოდის).

ნუცა. (ძლივს ლა ლაპარაკობს) დედა!

მარინე. (შემოვარდება. თან ექიმიც შემოჰყვება). რა იყო, შვილო?

ნუცა. სიმი გასწყდა! (უმწეოდ სკამზე დაეცემა).

(სწორედ ამ დროს სცენაზე ვახტანგი შემოვარდება. ისიც საშინლად გადაფითრებულია. უსაზღვრო შიშისაგან თვალები გაჰგანიერებია. თმები აწეწილ-დაწეწილი აქვს, ძლივს ლა სუნთქავს).

ვახტანგი. დედა! მიშველე! სისხლი... სისხლი (ხელსახოცს იფარებს ტუჩებზე და საშინლად ახველებს. სუსტდება).

(ექიმი სკამს მიაშველებს და დასვამს).

ექიმი. ჩქარა, წყალი!

მარინე. (წყალს მიაწოდებს) რა იყო? რა მოგივიდა, შვილო! ვაი ჩემს თავს, ვაი შენს დედასა, შვილო!

ექიმი. ლოგინი მოამზადეთ!

ვახტანგი (გაშტერებული ზის. ცოტა ხნის შემდეგ). იყო დღე... ეხლა კი ღამეა. ვარსკვლავები ნაპერწკლებს მაყრიან თვალებში. მჩხვლიტავენ. (მიაშტერდება ფანჯარას და ასე გაშტერებული ზის კარგა-ხანს. თანდათან უფრო ფითრდება. თვალებიც უაზრო გამომეტყველებას იღებს) ხან შუქია... ხან სიბნელე... ხან დღეა... ხან ღამე... დედა!.. სისხლი.. სისხლი!.. (კვდება).

ექიმი. (მაჯას გაუსინჯავს) გათავდა!.. (მარინე ქვითინით შვილს დაუწყებს კოცნას).

ნუცა. საწყალი ძმია! სასწაული ვერ მოახდინა!..

ფ ა რ დ ა.

გარდელი.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა". რედაქტორ გამომცემელი დ. ჯორჯაძე.